

PwC საქართველო

საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

31 იანვარი 2019

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2018 წლის 27 დეკემბრის საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეზე გამოქვეყნებული ცვლილებების მიხედვით:

ცვლილება ტერმინთა განმარტებაში

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის განსაზღვრული ტერმინი - „ლომბარდი“ შეიცვალა „სესხის გამცემი სუბიექტით“. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სესხის გამცემ სუბიექტს წარმოადგენს ნებისმიერი პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვა

- განხორციელებული ცვლილებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეეძლება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი წესით.
- ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე განისაზღვრა ერთიანი აქციზის განაკვეთი, რომელიც შეადგენს 20 ლერზე 1.7 ლარს.
- აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისთვის ასევე დადგინდა შემდეგი:
 - ფილტრიანი სიგარეტების 20 ლერზე აქციზის თანხა გაიანგარიშება, აქციზის განაკვეთისა და საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 %-ის ჯამით;
 - უფილტრო სიგარეტების 20 ლერზე აქციზის თანხა გაიანგარიშება, აქციზის განაკვეთისა და საცალო სარეალიზაციო ფასის 10 %-ის ჯამით;

აქციზური თამბაქოს ნაწარმი

**საგადასახადო
დეკლარაციის /
გაანგარიშების წარდგენის
ვადის დარღვევა**

**საგადასახადო
დეკლარაციაში/
გაანგარიშებაში
გადასახადის შემცირება**

**საგადასახადო სანქციების
ნაწილობრივი გაუქმება**

- კაფსულებსა და მსგავსი სახის პროდუქტებზე, თამბაქოს შემცველობით და ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელ თამბაქოს ნაწარმზე (წვის პროცესის გარეშე) აქციზის თანხა გაიანგარიშება, აქციზის განაკვეთისა და საცალო სარეალიზაციო ფასის 30 %-ის ჯამით.
- შეიცვალა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები, კერძოდ:
 - თუ ვადაგადაცილების პერიოდი არ აღემატება 2 თვეს, ჯარიმის ოდენობა შეადგენს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 %-ს;
 - თუ ვადაგადაცილების პერიოდი აღემატება 2 თვეს, ჯარიმის ოდენობა შეადგენს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 10 %-ს;
- ცვლილებები შეეხო საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებასთან დაკავშირებულ სანქციებს. აღნიშნული ცვლილებებით:
 - გადამხდელი ჯარიმდება შემცირებული გადასახადის თანხის 10 %-ის ოდენობით, თუ შემცირებული თანხა დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 %-ს არ აღემატება;
 - თუ შემცირებული თანხა გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 %-ს არ აღემატება, გადამხდელი ჯარიმდება დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შემცირებული გადასახადის თანხის 25 %-ის ოდენობით;
 - საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ზემოთ წარმოდგენილი შემთხვევებისა, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 %-ის ოდენობით;
 - საგადასახადო შემოწმების შედეგად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად დარიცხული ძირითადი გადასახადების თანხების ოდენობას;
- საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 % უქმდება, თუ ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია და გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30

დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50 %.

საურავის დარიცხვის ვადის შეზღუდვა

- საურავის დარიცხვის ვადა შეიზღუდა 3 წლის ვადით.
- იმ უძრავი ქონების მიწოდებასა და შესაბამისი ობიექტებისათვის განხორციელებულ სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურებაზე, რომელთა მშენებლობაზე შესაბამისი ნებართვა გაცემულია 2008 წლის 8 აგვისტომდე, დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების ვადა გაგრძელდა 2023 წლის 1 იანვრამდე.
- ასევე, შესაბამისად გაიზარდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული ზემოაღნიშნულ ოპერაციების მიმართ არსებული ხანდაზმულობის ვადებიც. კერძოდ, აღნიშნული ხანდაზმულობის ვადები შეადგენს:

დღგ-საგან გათავისუფლება

- 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 8 წელს;
- 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 7 წელს;
- 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 4 წელს;
- 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 3 წელს;

კომერციული ბანკებისა ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნაპატიები თანხების გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან

- ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსის გარდამავალ მუხლში ფიზიკური პირებისათვის სასესხო ვალდებულების პატიების ნაწილში. კერძოდ: ფიზიკურ პირზე 2019 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხის, აგრეთვე ამ სესხზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის პატიების (ჩამოწერის) შედეგად ამ ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან თუ შესაბამისი ვალდებულების პატიება განახორციელა კომერციულმა ბანკმა ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 31 იანვარი

ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც საკანონმდებლო მაცნეზე 2018 წლის 22 დეკემბერს გამოქვეყნდა.

*შეზღუდვები უცხოურ
ვალუტაზე მიბმული
ან ინდექსირებული
საფასურის მიღებაზე*

*შეზღუდვები უცხოურ
ვალუტაში
სესხის/კრედიტის
გაცემაზე*

*შეზღუდვები
ლიზინგის
ხელშეკრულებაზე*

- აღნიშნული კანონის თანახმად, იცვლება უცხოურ ვალუტაზე მიბმული საფასურის მიღების წესი, კერძოდ, იზრდება დადგენილი ზღვრული ოდენობა 100 000 ლარიდან 200 000 ლარამდე, რომელიც მიბმული იქნება არა გარიგების ფასზე, არამედ ჯამურ ვალდებულებებზე. ამასთან, განსხვავებით წინა რეგულაციისგან, ახალი რეგულაცია გავრცელდება ნებისმიერ პირთან დადებულ გარიგებაზე. მსგავსი ცვლილებები შეეხო უცხოურ ვალუტაში სესხის/კრედიტის გაცემის მარეგულირებელ ნორმებსაც.
- განვადებით ნასყიდობისას/ლიზინგის ხელშეკრულების დადებისას, თუ განვადებით ნასყიდობის/ლიზინგის ხელშეკრულების შედეგად მყიდველის/ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულებები იმავე მყიდველის/ლიზინგის გამცემის მიმართ 200 000 ლარს არ აღემატება, გამყიდველის/ლიზინგის გამცემის მიერ ნივთის ფასის/საზღაურის მიღება არ უნდა იყოს უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.
- 200 000 ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები იმავე გამსესხებლის/საბანკო კრედიტის გამცემის მიმართ 200 000 ლარს აღემატება.
- კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, აგრეთვე კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ იმ სესხზე/საბანკო კრედიტზე, რომლის გადავადება/რესტრუქტურირაცია/რეფინანსირება მოხდა კანონის ძალაში შესვლის შემდგომ.
- თუ ლიზინგის გამცემი მეწარმე სუბიექტია, ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. ამასთან, ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები სესხის საკომისიოსთან, ფინანსურ ხარჯთან, პირგასამტეხლოსთან და სხვა სანქციასთან დაკავშირებით.

- კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ ლიზინგის ხელშეკრულებაზე, რომლის ვადა კანონის ამოქმედების შემდგომ გაგრძელდა, ან მოხდა მისი რესტრუქტურირაცია, ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვა და რეფინანსირება.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 31 იანვარი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება N39 „მომსახურების ხარისხის წესების დამტკიცების შესახებ“

2018 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება N39, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის წესს ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და ბუნებრივი გაზით მომარაგების მომსახურებისთვის.

*სუბიექტი, რომელზეც
ვრცელდება
მომსახურების
ხარისხის წესი*

- დადგენილება ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომლებიც ეწევიან ელექტროენერგიის განაწილების, წყალმომარაგების, ბუნებრივი გაზის განაწილების ან/და საცალო მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობას, აგრეთვე მომხმარებლებზე, რომლებიც მოცემული საწარმოებისგან იღებენ შესაბამის მომსახურებას.

*მომსახურების ხარისხის
ძირითადი პრინციპები*

- მომსახურების ხარისხის პრინციპებს, მათ შორის, წარმოადგენს:
 - საწარმოს ვალდებულება გაუწიოს მომსახურება ყველა კატეგორიის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად;
 - მომხმარებლის უფლება წერილობით/ელექტრონული ფორმით მიმართოს საწარმოს იურიდიულ მისამართზე/მომსახურების ცენტრებში/ოფიციალურ ვებგვერდზე;
 - საწარმოს პასუხისმგებლობა ისეთი ხასიათის მომარაგების წყვეტაზე, რომელიც არ არის განპირობებული გარე მიზეზით;
- მომსახურების ხარისხის სტანდარტები იყოფა მომარაგების საიმედოობისა და მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტებად.
- მომსახურების ხარისხის საერთო სტანდარტის შესრულება არ არის დამოკიდებული ერთი კონკრეტული მომხმარებლის მიმართ გაწეულ მომსახურებაზე. მომსახურების ხარისხის საერთო სტანდარტის სამიზნე მაჩვენებლები დადგენილია

*მომსახურების ხარისხის
სტანდარტები*

კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მომხმარებელთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის, შემდეგ მომსახურებაზე:

- წყვეტის თარიღისა და ხანგრძლივობის თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირება;
- შიდა არაგეგმიური წყვეტის გამო გამორთული მომხმარებლებისათვის მომარაგების აღდგენა;
- ქოლცენტრის ოპერატორის პასუხის გაცემის დრო სატელეფონო ზარზე;
- მომარაგების წყვეტების საშუალო ხანგრძლივობის შემცირება;
- მომსახურების კომერციული ხარისხის გარანტირებული სტანდარტის შესრულება გულისხმობს საწარმოს მიერ ინდივიდუალური მომხმარებლისათვის შემდეგი სახის მომსახურების გაწევას:
 - დავალიანების გადაუხდელობისათვის გათიშული მომხმარებლებისათვის მომარაგების აღდგენა;
 - მომხმარებლის წერილობით/ელექტრონულ მიმართვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა/ტექნიკური შეტყობინების გაგზავნა ან/და რეაგირება;
 - მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე აღრიცხვის ხელსაწყოების შემოწმება;
 - აბონენტად დარეგისტრირება და მოთხოვნილი პირობებით მომარაგების უზრუნველყოფა;
 - ახალი მომხმარებლის მიერთება/სიმძლავრის გაზრდა;
 - მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმება;
 - ახალი მომხმარებლის მიერთების ტექნიკური პირობის გაცემა;
 - აღრიცხვის კვანძის მოწყობა და ქსელზე შეჭრა;
- საწარმომ ელექტრონულ ჟურნალში გეგმიური/არაგეგმიური წყვეტის მიზეზი უნდა განსაზღვროს შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით:
 - შიდა;
 - გარე (გარდა ფორსმაჟორისა);

*მომსახურების კომერციული
ხარისხის გარანტირებული
სტანდარტი*

წყვეტის სახეები

*მომსახურების თაობაზე
ინფორმაციის ასახვა*

ელექტრონული ჟურნალები

*გაუწვევლი მომსახურების
კომპენსირება*

➤ ფორსმაჟორი;

- საწარმო ვალდებულია მომსახურების ხარისხის თაობაზე ინფორმაცია რეალურ დროში ასახოს ელექტრონულ ჟურნალში.
- ელექტრონული ჟურნალების შევსებისას ინფორმაციის არშეყვანა, არასრული ან არაზუსტი ინფორმაციის შეყვანა ან/და ინფორმაციის დაგვიანებით შეყვანა განიხილება ამ წესების დარღვევად.
- საწარმო ვალდებულია გეგმური/არაგეგმური წყვეტების არეალისა და გამორთული მომხმარებლების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია რეალურ დროში განათავსოს საკუთარ ვებგვერდზე არსებულ გეოგრაფიულ რუკაზე.
- სემეკი უზრუნველყოფს საწარმოებს ელექტრონული ჟურნალების წარმოებისათვის აუცილებელი პროგრამით. საწარმო ვალდებულია ამ წესებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენოს მხოლოდ კომისიის მიერ შემუშავებული ელექტრონული ჟურნალები.
- მხოლოდ სემეკი არის უფლებამოსილი შეიტანოს ცვლილებები მის მიერ შემუშავებულ ელექტრონულ პროგრამაში. დაუშვებელია საწარმოს მხრიდან რაიმე სახის ცვლილების შეტანა ან ასეთის მცდელობა აღნიშნული პროგრამის მუშაობაში.
- ელექტრონული ჟურნალების მონაცემთა ბაზა (სერვერი) განთავსებული იქნება კომისიაში.
- დადგენილებით განსაზღვრული გარანტირებული სტანდარტებით გათვალისწინებული მომსახურების შიდა მიზეზებით შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმო ვალდებულია გადაუხადოს მომხმარებელს გაუწვევლი მომსახურებისთვის განსაზღვრული კომპენსაცია.
- კომპენსაცია მომხმარებელს უნდა დაერიცხოს მის სააბონენტო ბარათზე, კრედიტის სახით შემდგომი ანგარიშსწორებისთვის.
- კომპენსაცია უნდა აისახოს მომხმარებლის სააბონენტო ბარათზე მომსახურების გარანტირებული სტანდარტის დარღვევიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 31 იანვარი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №281/04 “ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”

2018 წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნდა ეროვნული ბანკის ახალი ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური პირის დაკრედიტების წესს.

ბრძანების მოქმედების სფერო

- აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ გაცემულ ყველა სახის სესხზე ან/და თავდებობაზე/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე.

გამონაკლისი შემთხვევები

- დებულების მოთხოვნები არ ვრცელდება:
 - მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხზე;
 - ფიზიკურ პირზე, რომლის ჯამური სასესხო ვალდებულებები სესხის გამცემი ორგანიზაციების მიმართ სესხის გაცემის შემდეგ აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოური ვალუტით;
 - იმავე ან სხვა სესხის გამცემ ორგანიზაციაში რესტრუქტურირებულ სესხზე თუ იმავდროულად არ ხდება ვალდებულებების ზრდა;
 - დასაკუთრებული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრისთვის ან მისი ოჯახის წევრებისათვის უკან დაბრუნების შემთხვევებზე, როდესაც გაიცემა სესხი;
 - ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის მიმართ თავდებობის/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე, თუ თავდები/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი წარმოადგენს ამ იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/აქციონერს/პარტნიორს/ ან საოჯახო მეურნეობის წევრს;
 - ფინანსური ინსტრუმენტებით ან/და ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ სესხზე;
 - ახალი ბინის შეძენისას, იპოთეკური სესხის იმ ნაწილზე, რომელიც დაიფარება არსებული ბინის რეალიზაციით;
 - უძრავი ქონების სახით უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელზე, როდესაც მისი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია ამ დებულების მოთხოვნების დაცვით და უზრუნველყოფის საგანი არ წარმოადგენს უზრუნველყოფის მიმწოდებლის საცხოვრებელ ადგილს.

**სესხების
მაქსიმალური ვადა**

- გამონაკლისის მიუხედავად, ზემოთჩამოთვლილ პროდუქტებზე ვრცელდება ბრძანებით განსაზღვრული ყოველთვიური შემოსავლებისა და მაქსიმალური გადახდების დაანგარიშების პრინციპები.
- ბრძანებით დგინდება მაქსიმალური ვადები სესხებთან მიმართებით, კერძოდ:

- იპოთეკური სესხის მაქსიმალური ვადა - 15 წელი;
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი - 10 წელი;
- სატრანსპორტო სესხი - 6 წელი;
- სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხებისთვის (გარდა რევოლვირებადი პროდუქტებისა) – 4 წელი;

**გადახდის
უნარიანობის
ანალიზი**

- სესხის გამცემმა ორგანიზაციამ სესხი უნდა გასცეს ან/და მიიღოს თავდებობა/უზრუნველყოფის საშუალება მხოლოდ გადახდისუნარიანობის ანალიზის ჩატარების შემდგომ. გადახდისუნარიანობის ანალიზი მოიცავს:
- პირის შემოსავლების, ხარჯებისა და ჯამური ვალდებულებების დეტალურ ანალიზსა და სესხის საჭიროების შემოწმებას;
- გონივრულობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმებას;
- ბიუროში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებას;
- ყველა იმ დამატებითი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ვალდებულებების მომსახურებაზე;
- მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მსესხებლის მიერ მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების გარეშე სესხის მომსახურების შესაძლებლობის განსაზღვრავს;

**პასუხისმგებლიანი
დაკრედიტების
პრინციპები**

- სესხის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული აქტივის ღირებულება აღემატება სესხის მოცულობას.
- თუ ფიზიკური პირი წარმოდგენილია თანამსესხებლის ფორმით და წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის წევრს, მაშინ სესხის მომსახურების კოეფიციენტს დაანგარიშებისას გაითვალისწინება ჯამური შემოსავალი.

შემოსავლების შეფასება

ბრძანების მოთხოვნების დარღვევის შედეგები

- მსესხებლის/თანამსესხებლის ყოველთვიურ წმინდა შემოსავლებსა და ყოველთვიურ გადასახდელებს შორის სხვაობა სესხის გაცემის თარიღისთვის უნდა აღემატებოდეს სსიპ საქსტატის მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმს.
- სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გასცეს სესხი ან/და მიიღოს თავდებობა ან უზრუნველყოფის საშუალება თუ დაცული იქნება ბრძანებით დადგენილი სესხის მომსახურების ან/და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები.
- ფიზიკური პირის შემოსავლის დასადასტურებლად გამოიყენება სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან/და ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან. თუ არ არსებობს მსგავსი დოკუმენტი, სესხის გამცემმა ორგანიზაციამ ფიზიკური პირის შემოსავლის სტაბილურობა უნდა შეისწავლოს და ფინანსური ანალიზი განახორციელოს შიდა პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად.
- გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხის გაცემისას, სესხის გამცემი ორგანიზაციის საკრედიტო/სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების (მათ შორის ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების) განხორციელებით.
- სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 31 იანვარი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-1/ნ „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის თაობაზე“

ელექტრონული ჩანაწერების სისტემა (EHR)

2019 წლის 3 იანვარს გამოქვეყნდა ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) წარმოების წესს.

- EHR სისტემა არის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ციფრული საცავი, რომელიც მოიცავს ნებისმიერი პაციენტის ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდისა და ამბოლატორიული ვიზიტის დროს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირის მიერ შეგროვებული მონაცემებს.

*EHR სისტემის
მონაცემებთან წვდომა*

- EHR სისტემასთან წვდომა ხორციელდება შემდეგი ელექტრონული რესურსებიდან:
 - EMR სისტემიდან (ექიმის როლით);
 - EHR სისტემის ექიმის გვერდი (ექიმის როლით);
 - EHR სისტემის პაციენტის გვერდი (პაციენტის როლით);
 - EHR სისტემის ანალიტიკური გვერდი (მფლობელის მიერ მინიჭებული ავტორიზებული მომხმარებლის როლით);

*EHR სისტემისთვის
ინფორმაციის გადაცემის
ვადეები*

- სამედიცინო დაწესებულება/ექიმი ვალდებულია:
 - ამბოლატორიული ვიზიტის შესახებ ინფორმაცია EHR სისტემაში გადასცეს ამბოლატორიული ვიზიტის დასრულებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;
 - სტაციონარული შემთხვევების შესახებ ინფორმაცია EHR სისტემაში გადასცეს პაციენტის გაწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
- EHR სისტემაში სამედიცინო ჩანაწერები ინახება პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე და გარდაცვალებიდან 15 წლის განმავლობაში.

მონაცემების შენახვა

- პაციენტის გარდაცვალების შემდეგ პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებს ენიჭება დაფარულის სტატუსი, ხოლო პაციენტის როლი უქმდება.
- EHR სისტემაში ინფორმაციის დამუშავება ლოგირდება მომხმარებელთა დონეზე. ლოგები ინახება შესაბამისი ქმედების თარიღიდან 3 წლის განმავლობაში.
- ექიმმა EHR სისტემის მონაცემებთან წვდომისათვის სისტემაში უნდა გაიაროს რეგისტრაცია. ამასთან, EHR სისტემაში ყოველი შესვლისას აუცილებელია ავტორიზაციის ეტაპის გავლა.

*EHR სისტემის
მონაცემებზე ექიმის
წვდომა*

- ავტორიზებული ექიმი უფლებამოსილია დაამუშავოს მონაცემები მხოლოდ:
 - სამედიცინო საქმიანობის განხორციელების მიზნით;
 - პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების რედაქტირების მიზნით;
 - პაციენტის მოთხოვნით;

პაციენტის უფლებები

- პაციენტს აქვს უფლება მიიღოს EHR სისტემაში მის შესახებ არსებული ინფორმაცია და მისი პერსონალური მონაცემები, აგრეთვე მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავების შესახებ ლოგირებული ინფორმაცია.
- პაციენტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა შესწორება იმ პირისგან, რომელმაც ასახა მონაცემი EHR სისტემაში.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 2019 წლის 31 იანვარი

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები

ეკონომიკური აგენტის მიერ მტაცებლური ფასების დადგენა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წარედგინა შპს „კავკასუს აგრო კომპანის“ საჩივარი შპს „ჯეო ფრემ გრუპის“ წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა იმპორტირებულ ბანანზე მტაცებლური ფასების დადგენას.

- მომჩივანის განცხადებით, შპს „ჯეო ფრემ გრუპი“ სისტემატიურად და მასიურად ყიდდა ბანანს სავარაუდო თვითღირებულებაზე 20%, 30%, 50% ნაკლებ ფასში, რაც არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებდა სხვა კომპანიებს.
- კონკურენციის სააგენტომ ბანანის ბაზარი განსაზღვრა როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დროებითი ჩარჩოების გარეშე არსებული დამოუკიდებელი პროდუქციული ბაზარი (სხვა ხილისგან დამოუკიდებელი ბაზარი).
- კონკურენციის სააგენტომ განცხადება შეაფასა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 2. ა ქვეპუნქტის ჭრილში, რომელიც შეეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოიხატა შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენაში.
- შემოსავლის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით კონკურენციის სააგენტომ ჩათვალა, რომ შპს „ჯეო ფრემ გრუპს“ საქართველოს ბანანის ბაზარზე არ უკავია დომინირებული მდგომარეობა, რადგანაც მისი ბაზრის წილი ნაკლები იყო 40%-ზე. შედეგად, კონკურენციის სააგენტომ უარი თქვა საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების თაობაზე.

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა
სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმის ბაზრის
მონიტორინგი.

***MFN პირობების გამოყენება
ხელშეკრულებებში***

- მონიტორინგის შედეგად, სასტუმროებსა და სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში, ფართო MFN პირობების (საუკეთესო ფასების გარანტია) გამოყენება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებად იქნა მიჩნეული.

წყარო: საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2019 წლის 31 იანვარი

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული მომსახურება

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შეშავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობა ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2018 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.